



მიეცეს თავისუფლება საქართველოს სკოლებს?

*შეფასება: გაზარდა თუ არა დეცენტრალიზაციამ
საზოგადოების წინაშე ქართული სკოლების
ანგარიშვალდებულება*

ანოტაცია

2005 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა სასკოლო სისტემის მართვის სწრაფ და რადიკალურ რეფორმირებას მისი დეცენტრალიზაციის გზით. სკოლებში დაფუძნდა სამეურვეო საბჭოები, რომლებიც უფლებამოსილი არიან დანიშნონ და გაათავისუფლონ სკოლების დირექტორები და შეიმუშაონ სკოლის ბიუჯეტი. დაინერგა სასკოლო ვაუჩერების ახალი სისტემაც, რომელიც მშობლებს არჩევანის საშუალებას აძლევს და სკოლას, თეორიულად მაინც, საკუთარი ბიუჯეტის მართვის უფლებას ანიჭებს.

ეს ანგარიში აანალიზებს ზემოაღნიშნული რეფორმის შედეგებს და ასკვნის, რომ, სამწუხაროდ, დეცენტრალიზაციამ ვერ მიაღწია დასახულ მიზნებს. ვაუჩერების სისტემის მწირმა დაფინანსებამ გამოიწვია ის, რომ სკოლებმა ფინანსური ავტონომია ვერ მოიპოვეს. სკოლებში სამეურვეო საბჭოების მუშაობის მნიშვნელოვანი შეფერხება მრავალი მიზეზით იყო გამოწვეული, მათ შორის, ცენტრიდან კონკრეტული მითითებების ნაკლებობით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მთავრობას ვერ გადაუწყვეტია, საერთოდ სურს თუ არა დეცენტრალიზაცია. „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში 2009 წელს შეტანილმა



ცვლილებებმა მნიშვნელოვნად დააკნინა სკოლების დირექტორების სტატუსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე.

ეს შეფასება ამტკიცებს, რომ რეფორმების გატარება და განათლების სისტემის პოლიტიკის დახვეწა აუცილებელია იმისთვის, რომ სისტემამ ისეთი სახე მიიღოს, როგორც დაგეგმილი იყო. აქვე მოცემულია განათლების სისტემის გაუმჯობესებისა და გამჭვირვალობის მიღწევისათვის აუცილებელი კონკრეტული რეკომენდაციების ჩამონათვალი.



შესავალი

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გატარებული რეფორმების ფონზე, საქართველოში განათლების სისტემის რეფორმა ხშირად წარმატებულად მიიჩნევა, მაგრამ წარმატებებზე საუბარი მაშინ შეიძლება, როდესაც საქმე სკოლებთან და უნივერსიტეტებში მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებულ, წვრილმან კორუფციასთან ბრძოლას ეხება. ცენტრალიზებული, ერთიანი ეროვნული მისაღები გამოცდების შემოღებამ „პრაქტიკულად გაწმინდა“¹ სისტემა ღრმად გამჯდარი მექრთამეობისა და ნეპოტიზმისაგან, რომლებიც წარსულში უნივერსიტეტში მიღების პროცესს ახასიათებდა.

2004 წელს სახელმწიფოს სათავეში მოსული საქართველოს ახალი მთავრობის წინაშე იდგა ამოცანა, რომელიც გაცილებით მეტს საჭიროებდა, ვიდრე უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების მექრთამეობისგან გაწმინდა იყო. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტები, როგორცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია, ავალდებულებს საქართველოს მთავრობას, თითოეულ ბავშვს მისცეს ხარისხიანი განათლების მიღების საშუალება. სამწუხაროდ, 1990-იან წლებში და 2000-იანი წლების დასაწყისში საქართველოში სკოლების მდგომარეობა საკმაოდ სავალალო იყო – საბჭოთაპერიოდული სახელმძღვანელოები, ამორტიზებული ინფრასტრუქტურა და მასწავლებელთა ხელფასები, რომლებიც დღეში 1 აშშ დოლარზე ნაკლებს შეადგენდა. ახალმა მთავრობამ გადაწყვიტა, რომ განათლების სისტემაში არსებული პოსტსაბჭოური ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ქვეყნის 21-ე საუკუნეში შესაყვანად რადიკალური ზომების მიღება იყო აუცილებელი. 2005 წელს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის – ალექსანდრე ლომაიას დროს, საქართველომ მიიღო ახალი კანონი – „ზოგადი განათლების შესახებ“, რომელიც რეფორმების მთელ სპექტრს მოიცავდა. რეფორმა მიზნად ისახავდა ძველი, საბჭოთა სისტემიდან განდგომას და უფრო დეცენტრალიზებული სისტემის ჩამოყალიბებას, სადაც განათლების სისტემის ერთეულებს ექნებოდათ საშუალება, დამოუკიდებლად მიეღოთ გადაწყვეტილებები.

ეს ანგარიში ანალიზებს განათლების სისტემის ორ ყველაზე მნიშვნელოვან რეფორმას, რომლის გატარებაც კანონმდებლობით იყო გათვალისწინებული, და აფასებს, თუ რამდენადაა შესრულებული რეფორმის ძირითადი ამოცანა – გაეხადა სკოლები უფრო ავტონომიური და, შესაბამისად, გაეზარდა საზოგადოების წინაშე მათი ანგარიშვალდებულება – „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მიღებიდან 5 წლის შემდეგ. ანგარიში იწყება შესავლით, რომელიც განმარტავს დეცენტრალიზაციის რეფორმის არსსა და მნიშვნელობას და დეტალურად აღწერს 2005 წელს გატარებული რეფორმების პაკეტს. ამას მოსდევს რეფორმით გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელების პრაქტიკული მხარეების ანალიზი. ანგარიში ასევე ანალიზებს კანონში 2009 წელს შეტანილ ცვლილებებს,

¹ Freedom House Nations in Transit report 2007



რომლებმაც, ექსპერტთა აზრით, 2005 წელს მიღებული კანონის ფარგლებში სკოლების მიერ მიღწეული ავტონომიურობის დიდი ნაწილი გააბათილა.

რატომ დეცენტრალიზაცია?

დეცენტრალიზაცია არის, მარტივად რომ ვთქვათ, გადაწყვეტილებების მიღების პროცესის „ცენტრიდან მოშორება და მისი გადატანა სერვისის მომხმარებლებთან ახლოს“². ამის მაგალითია სახელმწიფო მართვის სტრუქტურებში დავალებების დაბალი ეშელონებისთვის გადაბარება (ე. წ. დეკონცენტრაცია). სრული დეცენტრალიზაციის შემთხვევაში ის შეიძლება მოიცავდეს ძალაუფლების სრულად გადაცემას ადგილობრივი, დამოუკიდებელი სუბიექტებისთვის, მათ შორის, სკოლებისთვის. განათლების სისტემაში დეცენტრალიზაცია ხშირად დადებით ფენომენად აღიქმება, ვინაიდან ის სკოლების ლიბერალიზაციას და ცენტრისგან „განთავისუფლებას“ იწვევს. სინამდვილეში, მას აქვს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური შედეგები. დეცენტრალიზაციის საკითხზე შექმნილი მეცნიერული ნაშრომებისთვის თვალის გადავლებით აღმოვაჩინეთ, რომ დეცენტრალიზაციის პროცესის ხარისხიანად ჩატარება აშკარად მომგებიანია, მაგრამ მნიშვნელოვანი რისკიც ახლავს თან.

მართლაც, გავრცელებული მოსაზრებით, დეცენტრალიზაცია აღრმავებს არსებულ, გამჯდარ უთანასწორობას³ და, იმავდროულად, ქმნის სისტემას, რომელშიც „არაეფექტიანი სკოლები არაეფექტიანად რჩებიან“⁴. ერთ-ერთ კვლევაში ისიც კია აღნიშნული, რომ დეცენტრალიზაცია ამძაფრებს ისეთ პრობლემებს, როგორცაა გავლენიანი წრეების მიერ მანიპულაციის გზით მათთვის სასარგებლო წესების შემოღება, პოლიტიკური კლიენტებისა და დამკვეთების შექმნა. ეს იმით აიხსნება, რომ ამგვარი პრობლემები უფრო ხშირად სახელმწიფოს მართვის დაბალ საფეხურებზე იჩენს თავს, ვიდრე ცენტრალურ დონეზე.⁵ ასევე

² კ. ფლორესტალი, რ. კუპერი, დეცენტრალიზაცია განათლების სფეროში: სამართლებრივი საკითხები, მსოფლიო ბანკი (1997) / Florestal K, Cooper R, *Decentralisation of Education: legal issues*, World Bank (1997)

³ ძირითადი არგუმენტი ისაა, რომ მაშინ, როდესაც უკეთესი სკოლები რესურსების ლომის წილს იზიდავენ, უფრო ხელმოკლე სკოლები კონკურენციას ვერ უძლებენ და სულ უფრო და უფრო უკან რჩებიან.

⁴ ე. ბაბიეგევა, მონაწილეობის პერსპექტივები დეცენტრალიზებულ საჯარო სკოლებში, პოსტ-სკრიპტ 2-1, მელბურნი (2001) / Babyegeva E, *Perspectives of Participation in Decentralised Public Schools, Post-Script 2-1*, Melbourne (2001)

⁵ ჯ. კამპოსი, ჯ. ჰელმანი, ადგილობრივი მართვა: დეცენტრალიზაცია ანგარიშვალდებულებას ზრდის? იხილეთ: რ. უაითი და პ. სმოუკი, აღმოსავლეთი აზია დეცენტრალიზდება: ადგილობრივი თვითმმართველობის ამოქმედება, მსოფლიო ბანკი (2005) / Campos J, Hellman J, *Governance Gone Local: Does Decentralization Improve Accountability*, in White R and Smoke P (eds) *East Asia Decentralizes: Making Local Government Work*, World Bank (2005)



არსებობს იმის რისკი, რომ უხარისხოდ განხორციელებული დეცენტრალიზაცია სისტემაში უფრო მეტ გაურკვეველობას შეიტანს. თუ სისტემაში ცალკეულ სუბიექტთა უფლებამოსილებები გაურკვეველია ან ერთმანეთს ფარავს, მოქალაქეებს შესაძლოა გაუჭირდეთ იმის დადგენა, თუ ვის უნდა მიმართონ დახმარებისათვის მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, რითაც მოქალაქეების წინაშე სისტემის ანგარიშვალდებულება მცირდება. ეს განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როდესაც მმართველი ორგანოები და დაბალი რანგის სუბიექტები ცდილობენ ზოგადი პოლიტიკური კურსის წარუმატებლობა ერთმანეთს გადააბრალონ.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესის დეცენტრალიზაციის გზით სკოლებისათვის გადაბარება, თუ ეს პროცესი მართებულად წარიმართა, საზოგადოების წინაშე სკოლების ანგარიშვალდებულებას ზრდის. ცენტრალიზებული განათლების სისტემაზე შეიძლება იყოს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებული – არა პირდაპირ, არამედ საარჩევნო ყუთის ან საკონსულტაციო სქემის გამოყენებით. მაგრამ საფუძვლიანი არგუმენტები მოიპოვება იმის დასასაბუთებლად, რომ თუ გადაწყვეტილების მიღება დაახლოებულია პირველად მომხმარებელთან (ბავშვებსა და მათ მშობლებთან), ამით განათლების სისტემა საზოგადოების წინაშე უფრო ანგარიშვალდებულებული და მომხმარებლის საჭიროებებისადმი უფრო ყურადღებიანი ხდება.

ზემოაღნიშნული განსაკუთრებით მიესადაგება იმ ქვეყნებს, რომლებიც ახლახან გათავისუფლდნენ ავტორიტარიზმის კლანჭებისგან და გადაწყვეტილების მიღების ცენტრალიზებული სქემის აღმოფხვრისკენ ისწრაფვიან. მართლაც, არსებობს მოსაზრება, რომ დეცენტრალიზაციის შესახებ გადაწყვეტილება „ღვივდება იმ ძლიერი უარყოფითი დამოკიდებულების გამო, რომელიც ხანგრძლივი ავტორიტარული მმართველობის შემდეგ იჩენს თავს“⁶. ეს ამკარაა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, სადაც დეცენტრალიზაცია „პოსტსოციალისტური განათლების სისტემის რეფორმების პაკეტის განუყოფელი ნაწილი“⁷ გახდა.

ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. მართებულია იმის თქმა, რომ სკოლებისთვის ძირითადი უფლება-მოვალეობის გადაბარებას ჰქონდა პოტენციალი, აემალლებინა პასუხისმგებლობის დონე განათლების სისტემაში. საქართველო პატარა, მთაგორიანი ქვეყანაა, რომლის საკომუნიკაციო სისტემა სავალალო მდგომარეობაშია. ბევრ მოქალაქეს არ

⁶ იქვე

⁷ ა. მათიაშვილი, პირველობის შესახებ: საქართველოში განათლების სფეროს დეცენტრალიზაციის რეფორმის მნიშვნელობა. იხილეთ: ი. სილოვა და გ. შტაინერ-ხამსი, როგორ რეაგირებენ არასამთავრობო ორგანიზაციები: გლობალიზაცია და განათლების სფეროს რეფორმა კავკასიაში, შუა აზიასა და მონღოლეთში, კუმარიან პრეს (2008) / Matiasvili A, On Being First: The Meaning of Education Decentralisation Reform in Georgia in Silova I and Steiner-Khamsi G (eds) How NGOs React: globalisation and education reform in the Caucasus, Central Asia and Mongolia, Kumarian Press (2008)



აქვს საშუალება, ჩავიდეს თბილისში ან თუნდაც უახლოეს ადმინისტრაციულ ცენტრში. ზოგიერთი რეგიონი კი სრულიად მოწყვეტილია ცივილიზაციას ზამთრის თვეებში. ეს იმას ნიშნავს, რომ რეგიონის მოსახლეობას არ შეუძლია პრობლემების მოგვარება, თუ მას არ მიეცემა საშუალება, დახმარებისათვის მასთან ტერიტორიულად ახლოს განლაგებულ სუბიექტებს მიმართოს. სკოლებისთვის უფლება-მოვალეობის გადაბარება მიზნად ისახავდა ამ პრობლემის გადაჭრას, ასევე ზრდიდა სკოლების განვითარებაში ადგილობრივი მოსახლეობის (ე. წ. სთეიკჰოლდერების) როლს და მას აძლევდა საშუალებას, სკოლის ქმედებების გამო პასუხი სკოლის ადმინისტრაციისთვის მოეთხოვა.

სკოლების ავტონომიურობის გაზრდა პანაცეა არ არის, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო სწორედ მან შეიძლება უზრუნველყოს საქართველოს განათლების სისტემაში ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ზრდა.

რეფორმები

საქართველოში სკოლების დეცენტრალიზაციის წარმატებულობის გაანალიზება შეუძლებელია, თუ თავდაპირველად ამ რეფორმების არსს არ გავეცნობით. 2005 წელს მიღებული საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ ასახავს დეცენტრალიზაციის 2 მნიშვნელოვან რეფორმას:

- 1) სკოლებში აქტიური სამეურვეო საბჭოების ჩამოყალიბებას, რომელთა წევრებს საგრძნობლად გაზრდილი უფლებამოსილებები აქვთ;
- 2) ვაუჩერით დაფინანსების ახალი სისტემის დამკვიდრებას, რომლის ფარგლებშიც მშობლებს მეტი არჩევანი აქვთ და უზრუნველყოფილია სკოლების ფინანსური ავტონომია.


სამეურვეო საბჭოები

2005 წლიდან მოყოლებული, სამეურვეო საბჭოები საქართველოს სკოლებში სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი ორგანოები იყვნენ. მრავალ ქვეყანაში ვხვდებით მსგავს ორგანოებს, რომელნიც მართავენ და მეთვალყურეობენ სკოლებს, თუმცა სხვადასხვა ქვეყნებში ისინი განსხვავებული სახელებით მოიხსენიება (მაგ., დიდ ბრიტანეთში მმართველთა საბჭოები არსებობს, ხოლო ავსტრალიაში მათ სასკოლო საბჭოები ეწოდება). საქართველოში მნიშვნელოვანი უფლებამოსილების მქონე წევრებით დაკომპლექტებული სამეურვეო საბჭოების შემოღება სიახლე იყო.⁸

⁸ თუმცა შეზღუდული უფლებების მქონე სამეურვეო საბჭოები პირველად 1999 წელს დაინერგა, 2005 წელს კანონის მიღებამდე მათ მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონიათ.



„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ყოველ სკოლას უნდა ხელმძღვანელობდეს სამეურვეო საბჭო, რომელიც 6–12 წევრისაგან შედგება. მასწავლებლები და მშობლები მასში თანაბარი რაოდენობით უნდა იყვნენ წარმოდგენილი. საბჭოში ასევე უნდა შედიოდეს მოსწავლეთა 1 წარმომადგენელი. ისევე, როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაც აქვს უფლება, დანიშნოს საბჭოს 1 წევრი.⁹ სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევა ხდება 3 წელიწადში ერთხელ, ერთსა და იმავე დღეს, მთელი ქვეყნის მასშტაბით.¹⁰



სამეურვეო საბჭოები კურირებენ შიდა საკითხების სპექტრს, რაც მოიცავს სკოლის შინაგანაწესის დამტკიცებას და ეროვნული სასწავლო გეგმის განხორციელებას. ასევე საბჭო ირჩევს დისციპლინურ კომიტეტს, რომელიც მოსწავლეთა თუ სკოლის თანამშრომელთა დისციპლინურ გადაცდომებს განიხილავს. სკოლის ბაზაზე არსებობს პედაგოგიური საბჭოც, რომელიც სხვა, მნიშვნელოვანი მოვალეობების შესრულებასთან ერთად ამტკიცებს სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელ საკლასო სახელმძღვანელოებს – დეცენტრალიზაციამ მოიტანა ის, რომ სკოლა თავისუფალია რეკომენდებული ლიტერატურიდან სახელმძღვანელოების არჩევაში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია დანიშნოს სკოლის დირექტორი¹¹, დაამტკიცოს სკოლის წლიური ბიუჯეტი და თვალყური ადევნოს სკოლის ხარჯებს.

⁹ 2009 წლამდე სამინისტროს წარმომადგენელ წევრებს არ ჰქონდათ ხმის უფლება.
¹⁰ პირველი არჩევნები 2005 წელს ჩატარდა, ხოლო ბოლო არჩევნები – 2008 წელს.
¹¹ სკოლების დირექტორებს ირჩევენ საბჭოს წევრები ფარული კენჭისყრის საფუძველზე. კანდიდატები წინასწარ აბარებენ გამოცდას და თანამდებობაზე ოფიციალური განცხადება შეაქვთ.



ზემოთ ჩამოთვლილი უფლებამოსილებები ძირეულად არ განსხვავდება სხვა ქვეყნების პრაქტიკისგან, მაგრამ საქართველოში ეს უფლებები წარსულში განათლების სამინისტროს ან რეგიონალური ხელისუფლების ორგანოებს ჰქონდათ. ამის გამო რეფორმა დეცენტრალიზაციისაკენ გადადგმულ პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯად იქცა და რადიკალურად შეცვალა 2005 წლამდე არსებული სიტუაცია.

რეფორმამდე საზოგადოების წინაშე განათლების სისტემის ანგარიშვალდებულება თითქმის არ არსებობდა. სისტემა „გადატვირთული იყო ბიუროკრატიული შრეებით, რომლებსაც ერთმანეთის გადამფარავი უფლებამოსილებები და ანგარიშვალდებულებები ჰქონდა“¹² და ხასიათდებოდა „თითქმის ყველა საფეხურზე ეფექტიანი კოორდინირების, ადმინისტრირებისა და ფინანსური მართვის მექანიზმების ნაკლებობით“¹³. სახელმწიფოს საგანმანათლებლო პოლიტიკა ცენტრის დონეზე იქმნებოდა და მას რეგიონში განათლების სამინისტროს ადგილობრივი ორგანოები „გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების გარეშე“¹⁴ ახორციელებდნენ.

უდავოა, რომ სკოლებში სამეურვეო საბჭოების შექმნამ ხელი შეუწყო მშობლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულების მქონე ორგანოს ჩამოყალიბებას. 2005 წელს მიღებულ „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში ცენტრსა და სკოლებს შორის უფლებამოსილებები მკაფიოდ გაიმიჯნა, რაც არ ყოფილა წინამორბედ სისტემაში. შექმნილი სქემის მიხედვით, ცენტრი ვალდებულია დასახოს ერთიანი სასკოლო გეგმა, შეიმუშაოს სტანდარტები და განსაზღვროს საგანმანათლებლო პოლიტიკის სხვა ასპექტები, მაშინ, როდესაც სკოლებს ეკისრებათ ვალდებულება, გადაწყვიტონ, თუ როგორ გაართვან უკეთ თავი სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე თავიანთ მოვალეობებს. განათლების სამინისტროს რეგიონალური განყოფილებები შეიცვალა საგანმანათლებლო რესურს-ცენტრებით, რომელთა მიზანია, დაეხმარონ სკოლებს და სკოლებსა და ცენტრს შორის ინფორმაციის გაცვლას შეუწყონ ხელი. აქცენტის კონტროლიდან დახმარებაზე გადატანა სისტემის მოდერნიზებისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

თეორიულად, 2005 წელს მიღებული „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის თანახმად, უფლება-მოვალეობების სკოლებს, ადგილობრივ თვითმმართველობასა და, ცენტრის

¹² ა. მათიაშვილი, პირველობის შესახებ: საქართველოში განათლების სფეროს დეცენტრალიზაციის რეფორმის მნიშვნელობა. იხილეთ: ი. სილოვა და გ. შტაინერ-ხამსი, როგორ რეაგირებენ არასამთავრობო ორგანიზაციები: გლობალიზაცია და განათლების სფეროს რეფორმა კავკასიაში, შუა აზიასა და მონღოლეთში, კუმარიან პრეს (2008) / Matiasvili A, On Being First: The Meaning of Education Decentralisation Reform in Georgia in Silova I and Steiner-Khamsi G (eds) How NGOs React: globalisation and education reform in the Caucasus, Central Asia and Mongolia, Kumarian Press (2008)

¹³ იქვე

¹⁴ გ. შარვაშიძე, განათლების რეფორმა, სასწავლო გეგმის შეცვლა და მასწავლებელთა განათლება საქართველოში (2004) / Sharvashidze G, *Educational Reform, Curriculum Change and Teacher Education in Georgia* (2004)



დონეზე, სამინისტროს შორის განაწილება უფრო დეცენტრალიზებული და გამჭვირვალე მოდელი იყო, ვიდრე მისი წინამორბედი.

ვაუჩერები

სკოლებში სამეურვეო საბჭოების ჩამოყალიბება უდავოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, ამასთანავე, არაწინააღმდეგობრივი ხასიათისა. როგორც უკვე აღინიშნა, მსგავსი ორგანოები მრავალ განვითარებულ ქვეყანაში არსებობს. რაც შეეხება ვაუჩერებს, აქ ვითარება განსხვავებულია – ეს არის დაფინანსების სისტემა, რომლის მსგავსიც მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში მოიძებნება. ვაუჩერებმა დიდი დავა და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია აშშ-ის იმ რამდენიმე საგანმანათლებლო უბანში, სადაც ეს მოდელი განხორციელდა.¹⁵

ვაუჩერით დაფინანსების პრინციპი საოცრად მარტივია. სკოლების პირდაპირი დაფინანსების ნაცვლად სახელმწიფო მშობლებს ურიგებს ვაუჩერებს, რომელთა გამოყენებაც მშობლებს მათ მიერ შერჩეულ ნებისმიერ სკოლაში შეუძლიათ. ძირითადი არსი ისაა, რომ მშობლებს არჩევანის საშუალება ეძლევათ, ხოლო სკოლებს უზნდებთ მეტი მოტივაცია, გააუმჯობესონ სწავლების დონე და ორიენტაცია მშობლებზე და არა სამინისტროზე აიღონ.

მაშ, რამ წარმოშვა აზრთა სხვადასხვაობა?

საქმე ისაა, რომ ვაუჩერებმა საბაზრო ეკონომიკის მეთოდები შეიტანა იმ სფეროში, რომელიც ტრადიციულად სახელმწიფოს გავლენის ქვეშ იყო. ამან ვაუჩერების საკითხი ავტომატურად აქცია ლიბერალური საბაზრო პოლიტიკის მხარდამჭერთა და სოციალ-დემოკრატთა შორის გაცხარებული პოლიტიკური დებატების თემად. ვაუჩერის მხარდამჭერნი აცხადებენ, რომ იგი მშობელთა არჩევანს ამრავალფეროვნებს, რაც „ანგარიშვალდებულების საუკეთესო მექანიზმად“¹⁶ არის აღიარებული, ხოლო მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ ამ სისტემამ წარუმატებლობა განიცადა განათლების სტანდარტების გაუმჯობესების საქმეში იმ უბნებში, სადაც იგი დაინერგა.¹⁷

ვაუჩერით დაფინანსების ქართული სისტემა საგრძნობლად სცილდება იმას, რაც აშშ-ში არსებობს. ვაუჩერით დაფინანსების ამერიკული სისტემა, რომელიც მილუოკიში გვხვდება, ვაუჩერების სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის დარიგებას ეფუძნება, მაშინ, როდესაც ქართული სისტემა ვაუჩერით თითოეულ მოსწავლეს უზრუნველყოფს – ესაა

¹⁵ ვაუჩერით დაფინანსების კიდევ რამდენიმე მაგალითი არსებობს – შვედეთში ამ სისტემის ვარიაციას ვხვდებით. აქ კერძო სკოლებს ეკრძალებათ დამატებითი გადასახადების დაკისრება ვაუჩერიანი სტუდენტებისთვის. თუმცა, ერთი შეხედვით, ქართული სისტემა უფრო აშშ-ის ლიბერტიარიანულ სკოლას ეფუძნება, ვიდრე შვედურ სოციალ-დემოკრატიულ მოდელს.

¹⁶ პ. ჰილი და ჯ. ბონანი, საჯარო განათლების დეცენტრალიზაცია, რანდ კორპ (1991) / Hill P and Bonan J, *Decentralization in Public Education*, Rand Corp (1991)

¹⁷ მაგალითად, გ. ანრიგი, იდეა, რომლის დრომაც ჩაიარა, ვაშინგტონ მანთლი (აპრილი, 2008) / Anrig G, *An Idea Whose Time Has Gone*, *Washington Monthly* (April 2008)



პერსპექტივა, რომელიც ლიბერტიარიანული მსოფლმხედველობის ამერიკელ აქტივისტებს მხოლოდ სიზმარში თუ დაესახებათ. ამ მასშტაბით სასკოლო ვაუჩერების შემოღებით საქართველომ ექსპერიმენტირება დაიწყო და შეეცადა ისეთი სისტემა ჩამოეყალიბებინა, რომელიც უფრო მორგებულია საბაზრო ეკონომიკაზე, ვიდრე სხვა, მაღალგანვითარებულ ქვეყნებში არსებული სისტემები.

თუ ამგვარი რადიკალური პოლიტიკის გატარების პერსპექტივა სერიოზული დაფიქრებისთვის საკმარის საფუძველს არ იძლევა, მაშინ ამ სისტემისათვის დამახასიათებელი, უკვე კარგად ცნობილი, მრავალი უარყოფითი მხარე მაინც გასათვალისწინებელია. ვაუჩერების სქემის ძირითადი არსი მშობლებისთვის არჩევანის მიცემაა. თუმცა ქართული სისტემის ფარგლებში არჩევანის უფლება კერძო სკოლებზედაც ვრცელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის მეშვეობით შეუძლია ბავშვი კერძო სკოლაში მიაბაროს და უარი თქვას საჯარო სკოლაზე. ამან შესაძლოა ორი უარყოფითი შედეგი მოიტანოს: ერთი – რადგან კერძო სკოლებში სწავლის გადასახადი ზოგადად აღემატება სასკოლო ვაუჩერის ღირებულებას, მხოლოდ შეძლებულ მშობლებს შეუძლიათ ამგვარი არჩევანის გაკეთება, რაც მდიდარ და ღარიბ მოსწავლეთა შორის „განათლების ნაპრალის“ არსებობას უსვამს ხაზს. ისეთ მკვეთრად არათანასწორ საზოგადოებაში, როგორც საქართველოში გვხვდება, ეს ცუდის მომასწავებელია. მეორე – თანხა, რომელიც შეიძლება საჯარო სკოლების სასარგებლოდ გამოყენებულიყო, კერძო სექტორში გადაინაცვლებს. საქართველოში, სადაც საჯარო სკოლები დაფინანსების სერიოზულ ნაკლებობას განიცდიან, ეს კიდევ უფრო გაართულებს ვითარებას. 2009 წელს დაახლოებით 16 მილიონი ლარის¹⁸ ღირებულების ვაუჩერები დაიხარჯა კერძო სკოლების სასარგებლოდ, რაც ვაუჩერების სისტემისათვის გათვალისწინებული დაფინანსების დაახლოებით 6%-ია.¹⁹

ამ სისტემამ შეიძლება უარყოფითი შედეგები გამოიღოს. სკოლები ხშირად აცნობიერებენ, რომ აუცილებელია შეინარჩუნონ არადამაკმაყოფილებელი ყოფაქცევის მქონე მოსწავლეები, რათა ვაუჩერით დაფინანსება არ შეუწყდეთ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ გამოკითხულმა ერთ-ერთმა მასწავლებელმა განაცხადა, რომ ამან გამოიწვია „დისციპლინის სრული მოშლა... მოსწავლეებმა იციან, რომ სკოლისთვის შემოსავლის წყარო არიან, და შესაბამისად იქცევიან“²⁰.

აქვე აღსანიშნავია ის ძალიან მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგები, რომლებიც ამ სისტემამ მოიტანა.

¹⁸ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვაუჩერების პროგრამის მონაცემთა ბაზის სტატისტიკური ანალიზის შედეგი

¹⁹ 2009 წელს ვაუჩერების პროგრამა დაახლოებით 260 მილიონი ლარით დაფინანსდა.

²⁰ ოზურგეთში მასწავლებელთან ჩაწერილი ინტერვიუ. ამ ანგარიშში გამოყენებული, მასწავლებლებთან ჩაწერილი ყველა ინტერვიუ ანონიმურია.



პირველ რიგში, ვაუჩერების სქემა დაფინანსების გაცილებით უფრო გამჭვირვალე მექანიზმია, ვიდრე მისი წინამორბედი, როდესაც არ არსებობდა „არავითარი ობიექტური კრიტერიუმი ან პროცედურა, რომელიც განსაზღვრავდა თითოეული სკოლისათვის დაწესებულ დაფინანსების დონეს“²¹, ხოლო ბიუჯეტის დადგენის პროცესი „სრულიად არადემოკრატიული და უსამართლო“²² იყო.

ვაუჩერით დაფინანსებამ გაზარდა ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა, ვინაიდან ის საზოგადოებისათვის ძალიან მარტივად გასაგები სისტემაა. ვაუჩერების სქემა გულისხმობს დაფინანსებას ერთ სულ მოსახლეზე (სკოლის ბიუჯეტი მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება), რაც აადვილებს იმის აღქმას, თუ რა დაფინანსებას იღებს თითოეული სკოლა სასწავლო დაწესებულებაში მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით. თუ ვივარაუდებთ, რომ სკოლები მხოლოდ ვაუჩერებზე დაყრდნობით ფუნქციონირებენ (ბევრი სკოლა ვერ ახერხებს ამას, რაც უდიდესი პრობლემაა. ამ თემაზე მოგვიანებით გავამახვილებთ ყურადღებას), მაშინ ამ სისტემის სიმარტივე, საზოგადოების წინაშე სკოლების ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით, წინ გადადგმული ნაბიჯია.

სისტემის მხარდამჭერთა მიერ წამოყენებული კიდევ ერთი არგუმენტია ის, რომ სკოლებს შორის მოსწავლეებისათვის კონკურენცია სკოლის მინიმალური სტანდარტებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. ამ თეორიის მიხედვით, მშობლების მიერ მოსწავლის სკოლიდან გაყვანის (და ვაუჩერით დაფინანსების დაკარგვის) შესაძლებლობა სკოლების სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე კონცენტრაციას გამოიწვევს. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, საბაზრო პრინციპებზე დამყარებულმა ამ მიდგომამ შესაძლოა ცუდი სკოლების კიდევ უფრო გაუარესება გამოიწვიოს. ვაუჩერების სქემის მხარდამჭერნი ამართლებენ ამ სისტემას და ზემოაღნიშნულის საპასუხოდ აცხადებენ, რომ თუ სკოლები მხოლოდ ვაუჩერით დაფინანსებაზე გადავლენ, ცუდი სკოლები უბრალოდ დაიხურება.

თეორიულად, ვაუჩერების სისტემის შესაძლო ყველაზე მნიშვნელოვანი დადებითი მხარე არის ის, რომ იგი სკოლებს აძლევს ფინანსურ ავტონომიას, რომელიც თავისი მნიშვნელობით უტოლდება ინსტიტუციურ ავტონომიას, რომელსაც სკოლებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ანიჭებს. პირველის გარეშე მეორე აზრს კარგავს. თეორიულად, ვაუჩერების სისტემა სკოლას აძლევს საშუალებას, სრულად განსაზღვროს საკუთარი ბიუჯეტი.²³

²¹ გ. შარვაშიძე, განათლების რეფორმა, სასწავლო გეგმის შეცვლა და მასწავლებელთა განათლება საქართველოში (2004) / Sharvashidze G, *Educational Reform, Curriculum Change and Teacher Education in Georgia* (2004)

²² იქვე

²³ თუმცა, არსებული შეზღუდვებით, მათ არ აქვთ უფლება, სახელმწიფოს მიერ დადგენილ მინიმალური ხელფასის ოდენობაზე ნაკლები გადაუხადონ მასწავლებლებს.



უდავოა, რომ ვაუჩერების სისტემა უაღრესად ამბიციური წამოწყებაა, რომელსაც, ზემოაღნიშნული პრობლემების მიუხედავად, აქვს სერიოზული პოტენციალი, გააუმჯობესოს სკოლების მიერ ფინანსური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობები. თუმცა, როგორც მომდევნო ნაწილში დავინახავთ, ვაუჩერების სისტემისა და ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციის განხორციელების პროცესში მრავალი მიზანი მიუღწეველი დარჩა.

რეფორმის შედეგები – სად დამარცხდა დეცენტრალიზაცია

თავდაპირველი კანონის მიღებიდან 5 წლის შემდეგ საქართველოს განათლების სისტემის რეფორმირებით დაინტერესებული მრავალი მხარე შედეგებით იმედგაცრუებულია. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა მანანა ღურჭუმალიძემ განაცხადა, რომ „არ არსებობს სკოლებში სამეურვეო საბჭოების ცნება“²⁴. სკოლის დირექტორთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორმა თეა თუთბერიძემ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განუცხადა, რომ, მისი აზრით, საქართველო „სულ უკან-უკან მიდის“ და „მუდმივად დგამს ნაბიჯებს საბჭოური სისტემისაკენ“²⁵. ერთ-ერთმა მასწავლებელმა დასძინა, რომ, მისი დაკვირვებით, დეცენტრალიზაციის მიუხედავად, სკოლებში „ყველაფერს მაინც სახელმწიფო მართავს“²⁶.

ყველაზე სავალალო ის კი არ არის, რომ დეცენტრალიზაციამ ზემოაღნიშნული პრობლემები გამოიწვია, არამედ ის, რომ დეცენტრალიზაციას დაბრკოლებები შეექმნა უამრავი ფაქტორის გამო. როგორც მოგვიანებით განვმარტავთ, ამ ფაქტორთაგან ერთ-ერთია ის, რომ ვაუჩერების სისტემა იმთავითვე მოარყია ფინანსური რესურსების ნაკლებობამ, რამაც მრავალ სკოლაში ამ სისტემის განხორციელებას აზრი დაუკარგა. მეორე, მნიშვნელოვანი ფაქტორია „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში 2009 წელს შეტანილი ცვლილებები, რომლებმაც სკოლებს პრაქტიკულად ჩამოართვა ავტონომიურობა. სხვა ხელის შემშლელი ფაქტორებია ავტორიტარული პოლიტიკური კულტურის გადმონაშთები და მაღალკვალიფიციური კადრებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დეფიციტი.

ვაუჩერების არშემდგარი სისტემა

როგორც უკვე ავხსენით, საქართველოს სკოლებში ვაუჩერით დაფინანსების მიზანია მშობლებისათვის არჩევანის მიცემა და სკოლებისათვის ფინანსური ავტონომიის მინიჭება სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ბიუჯეტის პირდაპირი გაკონტროლების გზით. ამ მიზნის პირველი ამოცანა საკმაოდ ფართო მასშტაბით შესრულდა. მშობლებს ეძლევათ

²⁴ ინტერვიუ ავტორთან

²⁵ ინტერვიუ ავტორთან

²⁶ ინტერვიუ ავტორთან



საშუალება, აირჩიონ სკოლა საკუთარი ბავშვებისთვის. თუმცა, მაშინ, როდესაც ეს პროცესი ქალაქის ტიპის დასახლებებში წარმატებით განხორციელდა, სოფლად ამ სისტემამ მარცხი განიცადა, ვინაიდან სოფლის ტიპის დასახლებებში არჩევანის საშუალება რეალურად შეზღუდულია – ხშირად სოფელში მხოლოდ 1 სკოლაა. სასკოლო ვაუჩერით დაფინანსების სქემა აშშ-ში, ჩვეულებრივ, ურბანული ტიპის დასახლებებში ხორციელდება, სადაც სკოლებს შორის არჩევანი დიდია. შესაძლოა ამ სისტემამ წარმატებას მიაღწიოს, თუ ქვეყანაში არსებობს ავტობუსით მომსახურების ისეთი სრულყოფილი სისტემა, როგორც აშშ-შია. საქართველოს მასშტაბით ეს სისტემა ტრანსპორტირებისათვის აუცილებელი იმ ზომების მიღების გარეშე დაინერგა, რომლებიც სოფლად მცხოვრებ მშობლებს მისცემდა რეალურ საშუალებას, ალტერნატიული სკოლებიდან ერთ-ერთი აერჩიათ. რასაკვირველია, ეს არ აკნინებს იმ ფაქტს, რომ ქალაქში სკოლებს შორის ჯანსაღი კონკურენცია დამკვიდრდა და უკეთესი რეპუტაციის მქონე სკოლები დამატებით ფინანსურ რესურსებს იღებენ.

თუმცა აღსანიშნავია, რომ ბევრგან ვაუჩერების სისტემამ მარცხი განიცადა დაპირებული ფინანსური ავტონომიის დამკვიდრების თვალსაზრისით. ამის მარტივი მიზეზი ვაუჩერის მცირე ღირებულებაა.

2009 წელს ერთი წლიური ვაუჩერის ღირებულება ქალაქში 345 ლარი²⁷, ხოლო სოფლად 475 ლარი იყო. ქალაქში პირველი 400, ხოლო სოფლად პირველი 200 მოსწავლის მიღების შემდეგ ვაუჩერის ღირებულება, შესაბამისად, 325 და 450 ლარამდე მცირდება. მაღალმთიან რეგიონებში სასკოლო ვაუჩერის ღირებულება 564 ლარია და არ არის დამოკიდებული სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობაზე. ვაუჩერების ღირებულება წარმოუდგენლად მცირეა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბევრ სკოლაში ვაუჩერებიდან შემოსული დაფინანსება არ არის საკმარისი სკოლის ძირითადი ხარჯების დასაფარავად, როგორცაა მასწავლებელთა ხელფასები და კომუნალური გადასახადები. სკოლებს შეუძლიათ მშობლებს ქველმოქმედებისაკენ მოუწოდონ (მთავრობის ახალი ინიციატივა უბიძგებს სკოლებს, შემოწირულების სახით დახმარებისათვის ყოფილ აღსაზრდელებს მიმართონ)²⁸, მაგრამ სკოლას არ აქვს უფლება, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნებართვის გარეშე გააქირაოს სკოლის შენობა დამატებითი სახსრების მოსაზიდად. თუმცა საქართველოს შრომით ბირჟაზე მასწავლებელთა რაოდენობა დიდია²⁹, ხარჯების შემცირების მიზნით მასწავლებლების სამსახურიდან დათხოვნა ხშირად გამოსავალი არ არის. ეს აიხსნება

²⁷ ამ ანგარიშის წერისას ლარის დოლართან შეფარდება იყო დაახლოებით 1.74 ლარი / 1 აშშ დოლარი.

²⁸ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდი <http://www.mes.gov.ge/>

²⁹ მასწავლებელთა დაგეგმილი და საჭირო რაოდენობის ანალიზი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი და სოციალური მეცნიერებისა და ანალიზის ინსტიტუტი (2008) / *Analysis on projected and required number of teachers*, Teachers Professional Development Centre of Georgia and Institute of Social Studies and Analysis (2008)



პროფკავშირების სიძლიერით³⁰, ამ მიდგომის არაპოპულარობით და მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე შესაძლო უარყოფითი გავლენით. ეს იმას ნიშნავს, რომ მუშაობის გასაგრძელებლად ბევრი სასკოლო დაწესებულება იძულებულია ფინანსური დახმარებისათვის ცენტრალურ მთავრობას მიმართოს და მიმდინარე ხარჯების დასაფარავად დამატებითი დაფინანსება მოსთხოვოს. ეს თითქმის სრულად აბათილებს ვაუჩერების სისტემის დანერგვით მიღებული ფინანსური დამოუკიდებლობის დივიდენდებს.

ასევე პრობლემურია ის ფაქტი, რომ დამატებითი სახაზინო ფონდები არ გამოიყოფა ინვალდი და უნარშეზღუდული მოსწავლეებისათვის. სკოლა, სადაც ასეთი ბავშვი სწავლობს, დამატებითი ხარჯების მიუხედავად, არ იღებს დამატებით დაფინანსებას ვაუჩერების სქემიდან. მართალია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოყოფს თანხებს ასეთი მოსწავლეებისათვის სპეციალურად შექმნილი ხელმისაწვდომობის პროგრამების ფარგლებში, მაგრამ ეს ისევ და ისევ ცენტრიდან პირდაპირი დაფინანსებაა. შესაძლებელი იყო ამ დაფინანსების წყაროს ვაუჩერების სისტემაში ჩაქსოვა უნარშეზღუდულ და ინვალიდ ბავშვებზე უფრო ძვირად ღირებული ვაუჩერების გაცემის გზით.


აღნიშნულ პრობლემებს ისიც ამძაფრებს, რომ სკოლებზე დამატებითი დაფინანსების გაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ არის გამჭვირვალე. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მრავალჯერადი მოთხოვნის მიუხედავად, ამ საკითხზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან ინტერვიუს მიცემის მსურველი არავინ აღმოჩნდა, თუმცა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ელექტრონული ფოსტით მიიღო დასტური იმისა, რომ სკოლების დამატებითი დაფინანსების საკითხებზე გადაწყვეტილებებს ამჟამად განათლებისა და მეცნიერების მინისტრის განკარგულების საფუძველზე 2008 წელს შექმნილი სპეციალური კომისია იღებს. კომისია მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე თავმჯდომარეობს. ჩვეულებრივ, მინისტრის ბრძანებები სამინისტროს ვებგვერდზე თავსდება, მაგრამ ამ იდუმალი კომისია შექმნის შესახებ ბრძანება იქ არ მოიპოვება. კომისია ჩამოყალიბების თეორიული საფუძველი მცირე ზომის სკოლებისათვის ვაუჩერების სისტემის ფარგლებში დახმარების გაწევას, მაგრამ, როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ მოპოვებული ინფორმაცია ცხადყოფს, აღნიშნული კომისია ხშირად გასცემს ფულად სახსრებს შედარებით დიდი ზომის

³⁰ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი საქართველოში ყველაზე ძლიერი და დინამიკური პროფკავშირია და ქართველი მასწავლებლების უმრავლესობას აერთიანებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ ამ საკითხზე მომზადებული ანგარიში „პროფესიული კავშირების მოძრაობა საქართველოში“: <http://www.transparency.ge/post/report/საქართველოს-პროფესიული-კავშირების-მოძრაობა>




სკოლებზე, რომლებიც ვაუჭერების სქემიდან შემოსული არასაკმარისი დაფინანსების გამო ვერ ახერხებენ ძირითადი ხარჯების დაფარვას.³¹

იმისათვის, რომ უკეთ წარმოვიდგინოთ ამ ფენომენის მასშტაბები, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მოიპოვა სტატისტიკური მონაცემები ქ. აბაშიდან და თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონიდან. ეს უბნები იმიტომ შეირჩა, რომ ერთი თითქმის მთლიანად სოფლის ტიპის დასახლებაა, ხოლო მეორე – ურბანული დასახლება.



³¹ მაგალითად, თბილისის 79-ე სკოლა, რომელიც შედარებით დიდი სკოლაა და 450 მოსწავლეს მოიცავს, ბიუჯეტის დიდ ნაწილს პირდაპირ ცენტრიდან იღებს.



როგორც დავინახეთ, ორივე ტიპის დასახლებებში 2009 წლის განმავლობაში სკოლებმა სახელმწიფოსგან დამატებითი საგრანტო დაფინანსება მიიღეს. მაგრამ უფრო რთული ვითარებაა სოფლის ტიპის დასახლებულ პუნქტში – აბაში, სადაც სკოლების უმრავლესობას ფუნქციონირების გასაგრძელებლად დამატებითი დაფინანსება ყოველთვიურად ესაჭიროება. 2009 წელს აბაშის მხოლოდ ორმა სკოლამ შეძლო ვაუჩერების საშუალებით საკუთარი ხარჯების დაფარვა. ეს გვიჩვენებს, რომ სოფლად ვაუჩერების სქემით დაფინანსების დონე საკმარისად არ განსხვავდება ურბანული დაფინანსების დონისაგან.

თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონშიც კი სკოლების მარტო 38%-მა მოახერხა მხოლოდ ვაუჩერების საშუალებით დაფინანსება 2009 წლის განმავლობაში.³² „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ამ ორ უბანში ჩაატარა სკოლების ვაუჩერებით დაფინანსების მონაცემების სტატისტიკური ანალიზი. მაგრამ ირკვევა, რომ ეს ტენდენცია

³² ხელისუფლება ამტკიცებს, რომ დამატებითი ფონდის უდიდესი ნაწილი გამოიყენება კაპიტალური დანახარჯებისათვის, თუმცა „საერთაშორისო – გამჭვირვალობა საქართველო“ ვერ შეძლო მოეპოვებინა ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რისთვის გამოიყენება დამატებითი ფონდი. ჩვენთვის მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ დიდი ნაწილი ამ ფონდის მონდის კომუნალურ გადასახადებზე, იქიდან გამომდინარე, რომ ქვითრებზე რომელიც ჩვენ მოგვაწოდეს ძირითადად აღნიშნული იყო „გაზის გადასახადები“. საეჭვოა, რომ ამ დაფინანსების დიდი წილი მოდიოდეს კაპიტალურ დანახარჯებზე (თუმცა, რაღაც ნაწილი შეიძლება გამოიყენებოდეს დახმარებისთვის), რადგან ასეთი დანახარჯების დაფინანსება ძირითადად ხდება ადგილობრივი მმართველობიდან (მცირე მაშტაბის პრობლემების შემთხვევაში) ან საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან, რომელიც ეხება დიდი მაშტაბის ტენდერებს საგანმანათლებლო კაპიტალური დანახარჯებისათვის.



გავრცელებულია ქვეყნის მასშტაბით. სკოლების უმრავლესობა ვერ ახერხებს ფუნქციონირებას მხოლოდ ვაუჩერებიდან შემოსული დაფინანსების ხარჯზე, ხოლო დანაზოგით სკოლის შემდგომ ზრდა-განვითარებაზე საუბარიც ზედმეტია. სკოლების უმრავლესობაში ბიუჯეტი არ ასახავს სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოიხმაროს სკოლამ არსებული ფინანსური რესურსები. სკოლის ბიუჯეტი წინასწარ არის განსაზღვრული, იქიდან გამომდინარე, რომ ფონდები მთლიანად სკოლის ძირითადი ხარჯების დაფარვას ხმარდება. ეს ვაუჩერით დაფინანსების სქემას აზრს უკარგავს.

აქვე აღსანიშნავია ის, რომ ვაუჩერებით მიღებული დაფინანსების სიმცირე არ არის საქართველოში ამ სისტემის განხორციელების ერთადერთი ნაკლი. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მოსწავლის დაფინანსების დაწესებამ გაზარდა გამჭვირვალობა, რაც უდავოდ დადებითი მოვლენაა, ამ სისტემამ შექმნა კორუფციის ახალი შესაძლებლობებიც, როგორცაა, მაგალითად, მოსწავლეთა ხელოვნურად გაზრდილი რაოდენობა. მაშინ, როდესაც ზოგიერთი სკოლა მთელი ძალ-ღონით ცდილობს ვაუჩერებით შეინახოს თავი, რამდენიმე სკოლის დირექტორებისა და მასწავლებლების აზრით, ზოგიერთი სკოლა ახერხებს სისტემის ბოროტად გამოყენებას.

პარადოქსულია, რომ სწორედ ერთიანი ეროვნული გამოცდების დანერგვამ შეძლო უნივერსიტეტში მიღებასთან დაკავშირებული კორუფციის მასობრივად აღმოფხვრა და შედეგად პრობლემა შეუქმნა სკოლებს. რადგან სკოლების სასწავლო გეგმა არანაირად არ უკავშირდება მისაღებ გამოცდებს, მოსწავლეები სკოლას საშუალო განათლების მიღების ბოლო 2 წლის განმავლობაში – მე-11 და მე-12 კლასებში – იშვიათად სტუმრობენ. მოსწავლეები, რომელთაც სურთ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მაღალი შეფასება მიიღონ, ხშირად სკოლას თავს არიდებენ და დამოუკიდებლად ემზადებიან ან, როგორც შეძლებულ ოჯახებშია მიღებული, კერძო მასწავლებლებთან დადიან. დღევანდელი ვითარებით, სისტემა სკოლებს აძლევს საშუალებას, მოსწავლეთა ეს ჯგუფი „მოისყიდონ“ იმით, რომ მოსწავლეთა ცუდ დასწრებაზე თვალის დახუჭვას თანხმდებიან. სკოლები, რომლებიც ამ ხერხს მიმართავენ, ხშირად იზიდავენ მოსწავლეებს (და მათ ვაუჩერებს) იმ სკოლებიდან, რომლებისთვისაც ამგვარი პრაქტიკა დაუშვებელია. ამით ის სასწავლო დაწესებულებები ისჯებიან, რომლებიც პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და აკონტროლებენ მოსწავლეთა დასწრებას. ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განუცხადა: „საკმაოდ ბევრი მე-11-მე-12- კლასელი დავკარგე ამ გზით... ეს პრაქტიკა საკმაოდ დამკვიდრდა“³³.

³³ ინტერვიუ ავტორთან



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაინახა ეს პრობლემა და გეგმავს ზომების მიღებას ამგვარი ქმედების აღმოსაფხვრელად განათლების სისტემის რეფორმირების „მეორე ტალღის“ ფარგლებში. დამამთავრებელ კლასებში მოსწავლეთა დასწრების გაუმჯობესების მიზნით, 2010 წლის ზაფხულიდან მოყოლებული, ყველა მოსწავლე, რომელიც სკოლას გააცდენს, ვალდებული იქნება ჩააბაროს ეროვნული გამოსაშვები გამოცდები რამდენიმე საგანში. მხოლოდ ამის შემდეგ ექნებათ ამ მოსწავლეებს უფლება, მონაწილეობა მიიღონ ერთიან ეროვნულ გამოცდებში. სკოლებში დასწრების მონაცემების შეგროვების მიზნით დასწრების აღწერის საგანგებო სისტემა დაინერგება. თუ ეს ღონისძიებები კარგად განხორციელდება, კორუფციის ეს მოდელიც აღმოიფხვრება.

მართალია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ზემოთაღნიშნული რეფორმა შესაძლებელს გახდის კორუფციის ზემოაღნიშნული ფორმის აღმოფხვრას, მაგრამ ეს არ აბათილებს იმ ფაქტს, რომ ვაუჩერების სისტემამ ვერ მიაღწია დასახულ მიზნებს საქართველოს სკოლებში ჭეშმარიტი ფინანსური დამოუკიდებლობის დამკვიდრების თვალსაზრისით. სკოლა, რომელიც არსებობისათვის აუცილებელ დაფინანსებას ცენტრიდან იღებს, თავს მშობლების წინაშე ნაკლებად ანგარიშვალდებულად მიიჩნევს და ეცდება ცენტრალურ ხელისუფლებას ასიამოვნოს. ამას ემატება სკოლებისთვის ცენტრიდან გრანტის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღების სრულიად გაუმჭვირვალე პროცესი. მაშინ, როდესაც ქალაქებში ვაუჩერებმა წარმატებით დაამკვიდრა მშობლებისათვის ალტერნატივის შექმნის სისტემა, სოფლად სულ სხვა ვითარებას ვაწყდებით.

საბოლოო ჯამში, ახალი სისტემის უზარისხოდ დანერგვის გამო ვერ მივიღეთ ისეთი დადებითი შედეგები, როგორცაა სკოლების მეტი ავტონომიურობა და გაზრდილი გამჭვირვალობა.

ისევ საბჭოთა დღეები – პროფესიული უნარების ვაკუუმი და შიშის კულტურა

ისეთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, როგორც საქართველოა, დეცენტრალიზაცია არ არის მარტივი საქმე, რადგანაც კადრების დიდი ნაწილი – განსაკუთრებით პედაგოგ-მასწავლებლების უმეტესობა – საპენსიო ასაკს გადაცილებულია. მათ პროფესიული კარიერის უდიდესი ნაწილი განვლეს საბჭოთადროინდელ ცენტრალიზებულ სისტემაში, სადაც მასწავლებლებს „ეძლეოდათ დეტალური ინსტრუქციები იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა ესწავლებინათ და როდის“³⁴. დეცენტრალიზაციის თემაზე შექმნილი აკადემიური

³⁴ინტერვიუ ავტორთან

გ. შარვაშიძე, განათლების რეფორმა, სასწავლო გეგმის შეცვლა და მასწავლებელთა განათლება საქართველოში (2004) / Sharvashidze G, *Educational Reform, Curriculum Change and Teacher Education in Georgia* (2004)



შრომები ხშირად ეხება რეფორმების წარმატებით განხორციელების საქმეში ადგილობრივი კადრების პროფესიონალიზმის მნიშვნელობის საკითხს. როგორც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ამ თემაზე შექმნილი ერთ-ერთი სამუშაო დოკუმენტი³⁵ ამტკიცებს, დეცენტრალიზაცია „ან ძალიან მცირე ან არავითარ“ გავლენას არ ახდენს განათლების ხარისხზე, თუ ადგილობრივი სკოლები მას ეფექტიანად ვერ იყენებენ და არ აქვთ შესაძლებლობა, დეცენტრალიზებული სისტემა ამოქმედონ.

სამწუხაროდ, სკოლებში სამეურვეო საბჭოების მიერ თავიანთი უფლებამოსილების „ეფექტიანად გამოყენება“ ხშირად არ ხდება.

ამ პრობლემის გადაჭრის მარტივი გზები არ არსებობს, რასაც განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრიც აღიარებს. ცენტრის გეგმით, სკოლების აკრედიტაცია და პედაგოგ-მასწავლებლების სერტიფიცირება 2010 წელს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მასწავლებელთა სრული სერტიფიცირების პროცესი 2013–2014 წლამდე გადაიდო. აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორმა, დავით კერესელიძემ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განუცხადა, რომ არარეალისტური სტანდარტების დადგენის ნაცვლად „აქცენტი სკოლების დახმარებაზე და მათ გაუმჯობესებაზე კეთდება“³⁶.

აკრედიტაციის ეროვნულმა ცენტრმა დაამტკიცა ათობით ორგანიზაცია, რომლებსაც ევალებათ სხვადასხვა დარგებში კადრების კვალიფიკაციის ამოღება, რაც მოიცავს სკოლის სამეურვეო საბჭოში დაკისრებული მოვალეობების შესრულებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას.³⁷

ამ დადებითი ნაბიჯების მიუხედავად, საქართველოში განათლების სისტემის მრავალი ასპექტი სიცოცხლეს უხანგრძლივებს ძველი სისტემის სავალალო გადმონაშთებს, რომლებიც საპენსიო ასაკის მასწავლებლებისათვის ასე კარგადაა ცნობილი.

ერთ-ერთი ასეთი ასპექტია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსადმი დაქვემდებარებული გენერალური ინსპექცია. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ეს ორგანო სკოლებში ფინანსური, ადმინისტრაციული და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული წესების დაცვას არეგულირებს. სკოლებში სწავლების ხარისხის გაკონტროლება მის კომპეტენციას არ განეკუთვნება.

³⁵ განათლების სფეროს დეცენტრალიზაციის გავლენა სწავლების ხარისხზე, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (2007) / *Identifying the Impact of Education Decentralization on the Quality of Education*, USAID (2007)

³⁶ ინტერვიუ ავტორთან

³⁷ განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მენეჯმენტის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, დირექტორთა 89%, სამეურვეო საბჭოების წევრთა 71% და რესურს-ცენტრების თანამშრომელთა 91% აცხადებს, რომ გაიარეს ტრენინგი სკოლის მენეჯმენტის ახალი მეთოდების შესახებ და კმაყოფილი დარჩნენ.



„ჩვენ გვეშინია გენერალური ინსპექციის“³⁸, – განუცხადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა, რომელმაც ანონიმურობა არჩია. ამის სათანადო საფუძველიც არსებობს – თუ სკოლა ინსპექციიდან ერთზე მეტ გაფრთხილებას მიიღებს, სკოლის დირექტორის დათხოვნა ავტომატურად ხდება. როდესაც გაფრთხილების მიღება შეიძლება ისეთი მცირე „ჩავარდნის“ გამო, როგორცაა არასწორად შევსებული ფორმულარი ან, როგორც ეს კახეთში მოხდა, სკოლის ეზოში არათანაბრად დარგული ხეების რიგი (რაც სკოლის მცირე ბიუჯეტის ბრალია), დირექტორების შეშფოთება ადვილი გასაგები და მისატყვევებელია. თანამდებობიდან განთავისუფლების მაჩვენებელი ყოველწლიურად მატულობს. მაშინ, როდესაც 2008 წელს მხოლოდ 2 დირექტორი დაითხოვეს სამსახურიდან, 2009 წელს ამ რიცხვმა 15-ს მიაღწია.³⁹

სკოლის დირექტორთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, სკოლების დირექტორების გადაყენება „პოლიტიკური მიზეზებით“⁴⁰ აიხსნება. ამ მტკიცების არც დადასტურებაა ადვილი და არც უარყოფა, სამაგიეროდ, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ გენერალური ინსპექცია არ არის საკმარისად გამჭვირვალე.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ყოფილმა უფროსმა, სიმონ ჯანაშიამ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განუცხადა, რომ „კორუფციის ყველაზე დიდი წყარო“ ყველასთვის გასაგები, მკაფიო წესების ნაკლებობაა: „არ შექმნილა ნორმები და სტანდარტები, რომლებითაც სკოლებმა უნდა იხელმძღვანელონ, ამრიგად, არსებობს იმის რისკი, რომ სახელმწიფო ნებისმიერ დროს იპოვის რაიმე დარღვევას“⁴¹. არც რაიმე ობიექტური ფორმულა არსებობს, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელ სკოლას ესტუმრება გენერალური ინსპექცია. იმისათვის, რომ სისტემამ დანიშნულებისამებრ იმუშაოს, სკოლების შემოწმება წინასწარი გაფრთხილების გარეშე უნდა ხდებოდეს, მაგრამ რადგან არ არსებობს ზოგადი წესები, რომლებითაც სკოლა უნდა ხელმძღვანელობდეს, კონკრეტულ სკოლაში თვითნებური, დაუსაბუთებელი ინსპექტირების ჩატარებას წინ არაფერი უდგას. სამართლიანად მიიჩნევა ინსპექტირების ისეთი სისტემა, რომელიც სკოლების შერჩევის პროცესში სრული შემთხვევითობის პრინციპს დაეყრდნობა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ უარი განუცხადა იმ სკოლების ნუსხის მიწოდებაზე, სადაც ინსპექტირება ჩატარდა. სატელეფონო საუბარში სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ ტიპის ინფორმაცია არ არსებობდა. ძნელი წარმოსადგენია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ ინახავდეს ჩატარებული ინსპექტირებების ნუსხას.

³⁸ ინტერვიუ ავტორთან

³⁹ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის საპასუხოდ

⁴⁰ ინტერვიუ ავტორთან

⁴¹ ინტერვიუ ავტორთან



„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ორჯერ მიმართა გენერალურ ინსპექციას და შეხვედრა მოითხოვა, მაგრამ უშედეგოდ.

გენერალური ინსპექციის მხოლოდ სკოლების დირექტორებს როდი ეშინიათ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მთელი საქართველოს მასშტაბით გამართა შეხვედრები მასწავლებლებთან იმ მიზნით, რომ რეფორმასთან დაკავშირებით მათი პოზიცია დაეფიქსირებინა. რამდენიმე პედაგოგმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ განუცხადა, რომ სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევისას კენჭისყრის დროს ხშირი იყო მუქარა. საპორტო ქალაქ ფოთში გამართულ ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე დამსწრე მასწავლებელმა განაცხადა, რომ მას დაემუქრნენ, როდესაც მან დირექტორის არჩევისას უარი განაცხადა ხმის სკოლის დირექტორის სასარგებლოდ მიცემაზე: „მდევნიდნენ ჩემი განსხვავებული აზრის გამო, ზოგი ჩემი კოლეგა არც კი მელაპარაკებოდა, რადგანაც მე ჩემი აზრი მქონდა“⁴². „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთვის“ მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ ზემოაღნიშნული შეხვედრიდან 1 დღის შემდეგ ამ მასწავლებელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთან“ შეხვედრაში მონაწილეობის გამო სკოლის დირექტორმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მომხდარი ინციდენტის შემდეგ აღნიშნულმა მასწავლებელმა პროტესტის ნიშნად დატოვა სამსახური. ბათუმში მასწავლებლებთან გამართული შეხვედრის შემდეგ ამ ანგარიშის ავტორმა ერთ-ერთი მასწავლებლისაგან ტელეფონით მიიღო „მეგობრული რჩევა“, რომ „მასწავლებლებისათვის უფრო საჭირობო საკითხებზე კონცენტრირება“ ჯობდა, და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ „ქვენა მოტივებით“ ხელმძღვანელობაში დასდო ბრალი. სხვაგან ერთმა მასწავლებელმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განუცხადა, რომ „სკოლებში შიშის კულტურა ისეთივე მძლავრია, როგორც საბჭოთა პერიოდში იყო“⁴³.

გარდა იმ კულტურული ბარიერებისა, რომლებიც სკოლებში სამეურვეო საბჭოების მუშაობას აბრკოლებს, დეცენტრალიზაციას ძირს სამეურვეო საბჭოების წევრთა მიმართ მუქარის და მათი დაშინების პრაქტიკა და გენერალური ინსპექციის საბჭოთაადროინდელი მეთოდები უთხრის. ადამიანის მიერ ხმის უფლების გამოყენება და აზრის თავისუფლად გამოხატვა უპრინციპო ჩინოვნიკებს და სკოლის ადმინისტრაციას არ უნდა ემსხვერპლოს. აბსოლუტურად უნაკლო კანონმდებლობაც კი უვარგისია, თუ მისი დარღვევა შესატყვის რეაქციას არ იწვევს. თუმცა, როგორც მომდევნო ნაწილში დავინახავთ, გასულ წელს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების გამო დეცენტრალიზაციის პროცესი კიდევ უფრო დამაბუნდა.

⁴² ფოთში მასწავლებლებთან გამართულ შეხვედრაზე გაკეთებული კომენტარი

⁴³ ინტერვიუ ავტორთან



2009 წლის ცვლილებები – ხელახალი ცენტრალიზაცია?

2009 წლის 11 ივლისს საქართველოს პარლამენტმა „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებები შეიტანა. ეს ცვლილებები გვამცნობს, რომ:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეძლევა უფლება, საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრად დანიშნოს სამინისტროს წარმომადგენელი კენჭისყრაში მონაწილეობის სრული უფლებით.⁴⁴

- სამინისტროს წარმომადგენელს ეძლევა უფლება, ერთპიროვნულად მოიწვიოს საბჭოს სხდომა.

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეძლევა უფლება, ბათილად ცნოს საბჭოს გადაწყვეტილებები და გადააყენოს დირექტორი, თუ ისინი არ ემორჩილებიან ცენტრიდან მიღებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს⁴⁵.

ამ ცვლილებების მიღებისთანავე სკოლის დირექტორთა ასოციაციამ ისინი დაგმო, როგორც დეცენტრალიზაციის დასუსტებასა და ძველი, ცენტრალიზებული მოდელის აღდგენაზე ორიენტირებული.⁴⁶ ერთმა ჟურნალისტმა ამ ცვლილებებს სკოლების კონტროლის მექანიზმი უწოდა.⁴⁷

მიღებული ცვლილებები ცენტრალურ ხელისუფლებას მართლაც მეტ უფლებამოსილებას ანიჭებს.

პრაქტიკულად, კანონში შეტანილი ცვლილებები სამინისტროს აძლევს უფლებას, დაითხოვოს ნებისმიერი საჯარო სკოლის დირექტორი, რომელიც არ დაექვემდებარება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოთხოვნებს (რამდენიმე მათგანი საკმაოდ ტრივიალურია). თუ ტექნიკურ დეტალებს ჩავუღრმავდებით, სამინისტრომ თავდაპირველად შეკითხვით უნდა მიმართოს აღნიშნული სკოლის სამეურვეო საბჭოს, მაგრამ ის ფაქტი, რომ სამინისტროს ერთპიროვნულად ხელწიფება საბჭოს დადგენილების გაბათილება, შეკითხვით მიმართვის ვალდებულებას აზრს უკარგავს. როდესაც ეს ერწყმის ისეთ საფრთხეს, როგორც საჯარო სკოლების დირექტორებისათვის გენერალური ინსპექცია, იქმნება ვითარება, რომელშიც სკოლების დირექტორებს ეშინიათ ისეთი ნაბიჯის გადადგმა, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების ყველაზე აბსურდულ ბრძანებასაც კი შეეწინააღმდეგება. თანდათან ნათელი ხდება, რომ ამან საქართველოს განათლებისა და

⁴⁴ თუმცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ყოველთვის ჰქონდა უფლება, დაენიშნა თავისი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე, ამ უკანასკნელს არ ჰქონდა კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების ან კრების მოწვევის უფლება.

⁴⁵ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

⁴⁶ სკოლის დირექტორთა ასოციაციის განცხადება: www.principals.ge (05/06/09)

⁴⁷ ეკა ჭითანავა, როგორ ირჩევს სკოლა; ჟურნალი „ლიბერალი“ (21 დეკემბერი, 2009)



მეცნიერების სამინისტროს მისცა საშუალება, გაემყარებინა კონტროლი სკოლებში მიმდინარე პროცესებზე.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა მანანა ღურჭუმალიძემ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განუცხადა, რომ მისი ორგანიზაციის წევრები „მასწავლებლებთან შეხვედრებს სკოლების შენობებში ვეღარ აწყობენ“ სამინისტროს იმ განკარგულებაზე დაყრდნობით, რომელიც სკოლის თანამშრომლებს სამინისტროს ნებართვის გარეშე სკოლის შენობის შეხვედრებისათვის გამოყენებას უკრძალავს.⁴⁸ ეს ხდება იმის პარალელურად, როცა ხელისუფლების მხარდამჭერი, კონკურენტი ორგანიზაცია – განათლების სინდიკატი – თავისუფლად ახერხებს მასწავლებლებთან შეხვედრას⁴⁹, – დასძენს ქალბატონი მანანა თავისუფალი პროფკავშირმა მოიპოვა ელექტრონული ფოსტით ყველა სასკოლო უბანში გაგზავნილი მოთხოვნა, რომელიც ავალდებულებს სკოლის თანამშრომლებს, სამინისტროს აცნობონ ჟურნალისტებთან დაგეგმილი ნებისმიერი ინტერვიუს შესახებ.⁵⁰

მაშინ, როდესაც სავსებით ნორმალურია დეცენტრალიზებულ სისტემაში ცენტრის მიერ სკოლების გამართულად მუშაობის ხელშეწყობი წესების შემუშავება, მიმდინარე ზედამხედველობის (ე. წ. მიკრომენეჯმენტის) მეთოდები (განსაკუთრებით – თუ ეს მეთოდები დისკრიმინაციულია, როგორც ამას თავისუფალი პროფკავშირის წარმომადგენლები ამტკიცებენ) ეწინააღმდეგება ჭეშმარიტი დეცენტრალიზაციის არსს. დეცენტრალიზაციის საფუძველს მნიშვნელოვნად არყევს ის ფაქტი, რომ დირექტორების დათხოვნა შეიძლება ყველაზე ბანალური წესის დარღვევით იყოს გამოწვეული.

სამინისტროსთვის სამეურვეო საბჭოს წევრის დანიშვნის უფლების მინიჭების შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებამ საზოგადოების დიდი გაღიზიანება გამოიწვია. „ეს დესპოტური გადაწყვეტილება“ და „სკოლის სამეურვეო საბჭოებში [ამ გადაწყვეტილებამ] მე-5 კოლონა შექმნა“⁵¹, – აცხადებს იურისტი რევაზ რიჟამაძე, რომელიც სახელმწიფოს წინააღმდეგ სასამართლო პროცესში სკოლებს წარმოადგენს.

ეს შეიძლება ზედმეტად ემოციური და ოდნავ გადამეტებული რეაქცია იყოს. მრავალ ქვეყანაში სამეურვეო საბჭოში ადგილობრივი თვითმმართველობის ან განათლების სამინისტროს წარმომადგენელთა წევრის სტატუსით ყოფნა სავსებით მისაღებია.

⁴⁸ ინტერვიუ ავტორთან

⁴⁹ განათლების სინდიკატზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ მომზადებული ანგარიში „ქართული პროფკავშირების მოძრაობა“. <http://www.transparency.ge/post/report/საქართველოს-პროფესიული-კავშირების-მოძრაობა>

⁵⁰ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ თავისუფალი პროფკავშირიდან მოსული წერილის ასლი

⁵¹ ინტერვიუ ავტორთან



მაგალითად, დიდ ბრიტანეთში განათლების სისტემის ადგილობრივი წარმომადგენლები სრული საარჩევნო უფლებით სარგებლობენ და შეიძლება საბჭოს 1/5-ს შეადგენდნენ.⁵²

პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე, პარლამენტის წევრი მმართველი პარტიიდან, გიორგი გაბაშვილი აცხადებს, რომ სამინისტროს წარმომადგენელთა სამეურვეო საბჭოების წევრებად დანიშვნა იმიტომ გახდა აუცილებელი, რომ საბჭოების წევრებმა თავიანთი ფუნქცია კარგად არ იცოდნენ. სამინისტროს წარმომადგენელი კომპეტენტურია და საჭიროების შემთხვევაში დახმარებას შეძლებს.⁵³

თუმცა ნამდვილად შემაშფოთებელია ის, რომ სამინისტროს მიერ დანიშნულმა წევრებმა შეიძლება თავიანთი მდგომარეობა გამოიყენონ და სკოლებს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებაში შეუშალონ ხელი. თეა თუთბერიძე ამბობს:

„წარმოვიდგინოთ, რომ სოფელში სამინისტროს წარმომადგენელი ჩამოდის და აცხადებს, რომ ესა თუ ის საქმე გარკვეული წესით უნდა გაკეთდეს. თქვენი აზრით, სამეურვეო საბჭოს რომელიმე წევრი გაუწევს მას წინააღმდეგობას?“⁵⁴.

ცენტრის მიერ საჯარო სკოლებზე კონტროლის გაძლიერება არ ყოფილა სკოლების სამეურვეო საბჭოებში სამინისტროს წარმომადგენლების, როგორც სრულუფლებიანი წევრების, დანიშვნის ოფიციალური მიზეზი, თუმცა მაინც იქმნება შთაბეჭდილება, რომ მთავრობას სამინისტროს მიერ დანიშნული წარმომადგენლების მეშვეობით სკოლებზე უფრო მკაცრი კონტროლის დაწესება და მეთვალყურეობის გაზრდა სურდა. ნიკა გვარამია, რომელიც განათლებისა და მეცნიერების მინისტრი იყო, კანონში ცვლილებების შეტანის პერიოდში ერთ-ერთ ქართულ გაზეთთან ინტერვიუში ღიად აცხადებდა: სამინისტროს წარმომადგენელთა სამეურვეო საბჭოებში დანიშვნის მიზეზი ინფორმაციის შეგროვების საჭიროებაა. ეს ინფორმაცია სამინისტროს მისცემს საშუალებას, დირექტორები არა მხოლოდ ფინანსური, არამედ სასწავლო პროცესში დაშვებული შეცდომებისთვისაც დაითხოვოს, და უზრუნველყოფს იმას, რომ დირექტორებს არ მიეცეთ საშუალება, საკუთარი სურვილით დაითხოვონ სამსახურიდან მასწავლებლები.⁵⁵

რაც არ უნდა იყოს კანონში ცვლილებების შეტანის მიზეზი, ფაქტია, რომ „ხელახალი ცენტრალიზაციისაკენ“ მიმართული ამგვარი რეფორმები დეცენტრალიზაციის მთელ პროექტს უქმნის საფრთხეს. მაშინ, როდესაც სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში წევრის

⁵² <http://www.governor.net.co.uk/cropArticle.cfm?topicAreaId=1&contentId=295&mode=bg>

⁵³ თამარ ღონღაძე, რატომ ფერხდება სასკოლო რეფორმა; ჟურნალი „ლიბერალი“ (1 ივლისი, 2009) / Tamar Ghonghadze, “Why Education Reform is Being Hindered” *Liberal magazine* (01/07/09)

⁵⁴ თამარ ღონღაძე, როგორ მეურვეობენ სამეურვეო საბჭოებში?; ჟურნალი „ლიბერალი“ (5 ივნისი 2009)

⁵⁵ გაზეთ „კვირის პალიტრის“ ვებგვერდი: <http://old.kvirispalitra.ge/archive/2009/6-2009/htm/politika%20da%20sazogadoeba-6.htm>



დამატება თავისთავად პრობლემა არ არის, საჯარო სკოლების დირექტორების განთავისუფლებისათვის საჭირო დამატებითი ბერკეტები, რომლებიც ცენტრმა 2009 წელს ცვლილებების პაკეტის მიღებით მოიპოვა, სკოლების ავტონომიურობის შემცირების მეტ პოტენციალს შეიცავს.

დასკვნა და რეკომენდაციები

უდავოა, რომ საქართველოში სკოლების დეცენტრალიზაცია ისე წარმატებით არ განხორციელდა, როგორც იგეგმებოდა. როდესაც 2005 წელს სამეურვეო საბჭოები ჩამოყალიბდა, გაჩნდა იმედი, რომ ეს ახალი, საზოგადოების წინაშე გაზრდილი ანგარიშვალდებულებისა და სკოლის ცხოვრებაში ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობაზე დაფუძნებული ეპოქის დაწყებას მოასწავებდა. ამის ნაცვლად ბევრ სკოლაში საბჭოების ჩამოყალიბების შედეგად შექმნილი ახალი შესაძლებლობები მასწავლებლებმა და მშობლებმა ვერ გამოიყენეს. მთავრობა ამას, ერთი მხრივ, პედაგოგ-მასწავლებელთა თანამედროვე იდეების ადაპტირების უნარის ნაკლებობას და, მეორე მხრივ, მშობელთა სასკოლო პროცესებში ჩართულობის კულტურის არარსებობას აბრალებს. ზოგ შემთხვევაში ეს შესაძლოა ასეც არის, მაგრამ მთლიან სურათს მაინც არ წარმოაჩენს. ამ ანგარიშის მოსამზადებლად გაწეული კვლევითი სამუშაოს ფარგლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ საქართველოს წარმომადგენლობის თანამშრომლები შეხვდნენ ძალიან ბევრ ნიჭიერ და დინამიკურ მასწავლებელს და სკოლის დირექტორს, რომლებსაც ჰქონდათ სურვილიც და შესაძლებლობაც, გამოეყენებინათ ის ძალა და ბერკეტები, რომლებიც მათ საბჭოების შექმნამ მისცა. სამწუხაროდ, მათ მცდელობებს ძირს უთხრის ზოგ შემთხვევაში დანაშაულებრივი ქმედებები და ახლა უკვე კანონში შეტანილი ცვლილებები, რომლებმაც შესაძლოა სკოლების დამოუკიდებლად მოქმედების არეალი კიდევ უფრო შეამციროს.

ვაუჭრით დაფინანსების სისტემამაც მარცხი განიცადა. ქალაქებში მან მშობლებს მისცა შესაძლებლობა, აერჩიათ ნებისმიერი საჯარო თუ კერძო სასწავლებელი, მაგრამ ვერ მოახერხა სკოლებისთვის ფინანსური დამოუკიდებლობის მინიჭება. სისტემაში ფულადი სახსრების ნაკლებობამ გამოიწვია ის, რომ სახელმწიფო დამატებითი გრანტების საშუალებით, პირდაპირ აფინანსებს ბევრ სკოლას. სკოლებს თითქმის არასოდეს აქვთ საკმარისი რაოდენობის ფონდები, რომ საკუთარი პრიორიტეტები განსაზღვრონ.

მთავარი პრობლემა კი ისაა, რომ 2009 წლის ივლისის შემდეგ საქართველოში ჩამოყალიბდა სისტემა, რომელიც არც ცენტრალიზებულია და არც დეცენტრალიზებული. ფორმალურად, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონმა სკოლებში ჩამოაყალიბა ახალი ტიპის ორგანოები, რომლებსაც მკაფიოდ განსაზღვრული უფლება-მოვალეობები და



ანგარიშვალდებულება ჰქონდათ. პრაქტიკაში კი სამინისტროს მოქმედება ცენტრზე კონტროლის განმტკიცებისთვის არის გამიზნული. იქმნება სიტუაცია, რომელსაც შეიძლება სრულიად სამართლიანად ვუწოდოთ „გაუგებრობა“. სიმონ ჯანაშიას თქმით, საქართველოში „სისტემა არ არსებობს“⁵⁶.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა სისტემის ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა. მსოფლიოში განათლების სისტემის ორგანიზების მრავალი მოდელი არსებობს – ზოგი უფრო ცენტრალიზებული, ზოგიც დეცენტრალიზებული. ყურადსაღები არგუმენტები მოიძებნება ამა თუ იმ სისტემის უპირატესობის დასასაბუთებლად, მაგრამ ფაქტია, რომ ცენტრალიზებული სისტემა, მორგებული ბერკეტები და ანგარიშვალდებულების გამართული მექანიზმები უპირატესობით სარგებლობს ისეთ დეცენტრალიზებულ სისტემასთან შედარებით, რომელიც დამაბნეველი, ცუდად განხორციელებული და ანგარიშვალდებულებას მოკლებულია. ამ ანგარიშის დაწერის დროს სწორედ ასეთი სისტემაა საქართველოში.

საქართველოში დეცენტრალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები ერთდროულად სტრუქტურული და კულტურული მიზეზებით აიხსნება. თუ სიტუაციას კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ამ საკითხზე ქვეყნის მთავრობა ურთიერთსაწინააღმდეგო სიგნალებს იძლევა. ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობას სურს თავი წარმოაჩინოს, როგორც ლიბერალური რეფორმების ხელშემწყობმა, მაგრამ, მეორე მხრივ, ცდილობს სისტემაზე კონტროლის დიდი ნაწილი შეინარჩუნოს. ნაწილობრივ ეს იმით აიხსნება, რომ საერთაშორისო არენაზე საქართველოს ხელისუფლების ხშირ წარმატებას საფუძველი იმ ძალებზე მტკიცე კონტროლის დამყარებამ ჩაუყარა, რომლებიც 2004 წლამდე კორუმპირებული მეთოდებით მოქმედებდნენ. მაგალითად, საგზაო პოლიციიდან კორუფცია კონტროლის განმტკიცების და არა მისი შესუსტების გზით აღმოიფხვრა. ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებამ ცენტრს დაუქვემდებარა პროცესი, რომელიც წარსულში უნივერსიტეტების პრეროგატივა იყო. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მთავრობა ურთიერთგამომრიცხავ – დეცენტრალიზაციის ვალდებულებებისა და ცენტრალიზაციის ინსტიტუტების – მარწუხებშია მოქცეული. ამ პრობლემას ამძაფრებს ხელმძღვანელობის ცვლა: 2007 წლიდან მოყოლებული, საქართველოში განათლებისა და მეცნიერების 5 მინისტრი შეიცვალა, რასაც პოლიტიკური კურსის ცვლილებები ახლდა თან.

იმისათვის, რომ საქართველოში ეფექტიანი განათლების სისტემა მივიღოთ, ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს, რა სურს: დანერგოს უფრო ცენტრალიზებული სისტემა (რომელიც შესაძლებელია უფრო ანგარიშვალდებულებული გახდეს), თუ მოახდინოს არსებული დეცენტრალიზებული სისტემის რეფორმირება ისეთი მიმართულებით, რომელიც სკოლებს

⁵⁶ ინტერვიუ ავტორთან



მეტ თავისუფლებას და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების საშუალებას მისცემს.

თუ ვივარაუდებთ, რომ საქართველო გადაწყვეტს, გააგრძელოს არსებული, ავტონომიური სკოლების მოდელის გამოყენება, მაშინ საჭირო გახდება სისტემაში სხვადასხვა ცვლილებების შეტანა. მის გასაუმჯობესებლად და მისი ეფექტიანობის გასაზრდელად საჭიროა:

1. **ვაუჩერების ღირებულების მნიშვნელოვანი გაზრდა:** სისტემაში ფულადი სახსრების ნაკლებობა ვაუჩერების სისტემის გამოყენების საშუალებას ამცირებს. თუ ვაუჩერების ღირებულება გაიზრდება, სისტემა შეიძლება დანიშნულებისამებრ ამოქმედდეს – სკოლებში დამკვიდრდეს ფინანსური დამოუკიდებლობა და გაიზარდოს გამჭვირვალობა. დაფინანსების ზოგადი ზრდა ასევე წაადგებოდა ამ საქმეს. დღევანდელი მონაცემებით, საქართველო განათლების სექტორზე ეროვნული პროდუქტის 2.7%-ს ხარჯავს,⁵⁷ რაც თავდაცვაზე გამოყოფილ საბიუჯეტო საშუალებებზე ნაკლებია. ნაკლები ტანკი და მეტი სახელმძღვანელო მარგებელი იქნებოდა მთელი სისტემისათვის.

2. **ქალაქში და სოფელში დასარიგებელ ვაუჩერებს შორის ღირებულების სხვაობის გაზრდა და უნარშეზღუდული მოსწავლეებისათვის უფრო მეტი ღირებულების ვაუჩერების შემოღება:** დღეისათვის სოფლის მცირე სკოლები ხშირად იძულებული არიან პირდაპირი დაფინანსებისათვის სამინისტროს მიმართონ. ინვალიდი და უნარშეზღუდული მოსწავლეები მეტ დაფინანსებას საჭიროებენ, რაც ასევე უნდა აისახოს ვაუჩერების სისტემაში. ეს არ გულისხმობს იმას, რომ არსებული ცენტრალური დაფინანსება უნდა შეწყდეს (ის მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის საქმეში), მაგრამ ამ სკოლებისათვის ვაუჩერების ღირებულების გაზრდა დაეხმარება სისტემას, უფრო ზუსტად ასახოს რეალური საჭიროებები.

3. **ვაუჩერით დაფინანსების სისტემის ან მხოლოდ საჯარო სკოლებზე გავრცელება ან კერძო სკოლებში ვაუჩერთან ერთად სწავლის საფასურის გადახდის აღკვეთა:** იგი კერძო სკოლებს მისცემს საშუალებას, თანაბარი კონკურენცია გაუწიონ საჯარო სკოლებს და ხელმოკლე მოსწავლეებიც მოიძვან. თუ სკოლა გადაწყვეტს დამატებითი გადასახადი დაუწესოს კონკრეტულ მოსწავლეს, მაშინ ის ვერ მიიღებს ამ მოსწავლისთვის განკუთვნილ ვაუჩერს. ამით იმ კერძო სკოლებს, რომლებიც ხელმოკლე მოსწავლეებს უფასოდ ასწავლიან, ხარჯები შეუმცირდებათ, მაშინ, როდესაც მიეცემათ საშუალება, შეძლებულ მოსწავლეებს უფრო მეტი გადასახადი დააკისრონ. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ სახელმწიფო შეწყვეტს სუბსიდიების გაცემას კერძო სკოლებში მყოფი შეძლებული მოსწავლეებისათვის.

4. **გენერალური ინსპექციის გამჭვირვალობის გაზრდა შემდეგი საშუალებებით:**

ა) განემარტოს სკოლებს ის რეგულაციები, რომელთა შესრულებაც ევალებათ იმისთვის, რომ სკოლებმა იცოდნენ თავიანთი მოვალეობები. ჩახლართული ან არარეალურად მკაცრი

⁵⁷ 2007 წლის მონაცემებით



ტექნიკური ინსტრუქციები ხშირად კანონით დადგენილი სანქციების შერჩევით ან თვითნებურ მისადაგებას განაპირობებს. სახელმწიფო ზედამხედველობის ფოკუსის წვრილმანი შეცდომების გამო სკოლების დასჯიდან კონკრეტულ დახმარებაზე გადატანა ასევე პოზიტიური ნაბიჯი იქნება. რასაკვირველია, კორუფციის ასალაგმავად სერიოზური ფინანსური შეცდომებისა და უსაფრთხოების წესების უგულვებელყოფისათვის სასჯელის ზომები უნდა შენარჩუნდეს.

ბ) ადვილად ხელმისაწვდომი გახდეს (ელექტრონულ ფორმატში გამოქვეყნდეს) იმ სკოლების ნუსხა, სადაც ინსპექტირება ჩატარდა, და ამ ინსპექტირებების შედეგები.

გ) გამოქვეყნდეს ფორმულა, რომლის საფუძველზედაც ირჩევა ინსპექტირების ჩატარების ადგილი და დრო. ეფექტიანი ინსპექტირება მოულოდნელად უნდა ჩატარდეს, მაგრამ ის ფორმულა, რომლითაც ამ ქმედების დრო განისაზღვრება, საზოგადოებისათვის ცნობილი უნდა იყოს. შერჩევასა შემთხვევითობის პრინციპის გამოყენება სამართლიანობის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა. ეს, ინსპექტირების შედეგების საჯაროდ გამოქვეყნებასთან ერთად, სისტემის გამჭვირვალობას შეუწყობს ხელს და სკოლების თვითნებური ინსპექტირების წინააღმდეგ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

დ) მოხდეს ბანალურ საკითხებზე ოფიციალური გაფრთხილებების გაცემაზე თავის შეკავება.

5. სკოლის თანამშრომლების დაცვა დაშინებისაგან: მეტი ძალისხმევაა საჭირო სამეურვეო საბჭოს წევრების მიერ თავიანთი უფლება-მოვალეობების შესახებ ცოდნის დონის ასამაღლებლად. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საბჭოს წევრების უფლება, თავისუფლად გამოთქვან საკუთარი აზრი. ეს შეიძლება სხვადასხვა მეთოდებით მოხდეს, მაგალითად, ცხელი ხაზის საშუალებით.

6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან სკოლების დირექტორების დათხოვნის გართულება: კანონში 2009 წელს შეტანილი ამ ცვლილების გაუქმება სკოლების დირექტორებს სამინისტროს მხრიდან თვითნებური დათხოვნის საფრთხეს ააცილებს და სკოლების ავტონომიურობას გაზრდის.

მადლობის გადახდა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მადლობას უხდის ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ ანგარიშისათვის მასალების მოპოვებაში. განსაკუთრებით დიდი დახმარება გაგვიწიეს სიმონ ჯანაშიამ (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), მანანა ღურჭუმალიძემ (საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი) და თეა თუთბერიძემ (სკოლის დირექტორთა ასოციაცია). ავტორი ასევე მადლობას უხდის განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრს, რომელმაც ინფორმაცია მოგვაწოდა. სამწუხაროდ, თვეების განმავლობაში გაგზავნილი მრავალი ოფიციალური მოთხოვნის მიუხედავად, სამინისტროდან სხვამ არავინ მოინდომა ჩვენთან გასაუბრება. ამ ანგარიშში ჩვენ მიერ გამოკითხული არც ერთი სკოლის დირექტორის და მასწავლებლის სახელი და გვარი არ არის ნახსენები. ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც ერთ-ერთი



მასწავლებელი ჩვენთან საუბრის შემდეგ სიტყვიერი შეურაცხყოფის მსხვერპლი გახდა და საჭიროდ მიიჩნია, სამსახური დაეტოვებინა. რამდენიმე მასწავლებელმა ასევე გამოთქვა ანონიმურობის სურვილი.